# შირაქი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (9.793)

12 - 19 აგვისტო 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## დედოფლისწყაროში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს



გვ.2

## წარმატებული ექიმი და საპატიო მოქალაქე

გვ.5



გვ.6

## კლუბური ნარკოტიკი – ახალი საცდური

ახალგაზრდებისთვის?!

## მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე

გვ.6

## მიზნამდე ჯერ კიდევ შორია...



გვ.4



## ჩვენი დროის გმირები

გვ.3

## რა დაავადებებს იწვევს კონდიციონერი და რა უნდა გავითვალისწინოთ გაგრილების დროს – ექიმის რეკომენდაციები

გვ.5

# შეხვედრების სერია სოფლებში

გამგებლის ინიციატივა - ,,ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. სოფელ ფიროსმანის შემდეგ, ნიკოლოზ ჯანიაშვილი თავწყაროსა და ჭოეთის მაცხოვრებლებს შეხვდა. მათთან დიალოგის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულია ამ სოფლებისთვის და გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს. ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოსახლეობას დაყენებული საკითხების მოგვარებას დაპირდა.

10 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის მშობლიური სოფლის, ქვემო ქედის, მაცხოვრებლებს შეხვდა. შეხვედრას, რომელიც სოფლის ცენტრში ჩატარდა, გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები და ადგილობრივები ესწრებოდნენ. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ქვემო ქედელებისგან პირადად მოისმინა ის საკითხები თუ პრობლემები, რომლებიც მათ სოფელს აწუხებს და აღუთქვა, რომ სოფელში არსებული ყველა პრობლემა უმოკლეს ვადაში მოგვარდება.

ასევე შეგახსენებთ, რომ გამგებელი სოფლების მოსახლეობას ხვდება ,,საქართველოს წითელი ჯვრის“ დედოფლისწყაროს ფილიალის ექიმებთან ერთად. მათ ქვემო ქედის მაცხოვრებლებს ჩაუტარეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები, ყველა პაციენტს მიეცა შესაბამისი დანიშნულება. გაცნობებთ, რომ დედოფლისწყაროს გამგებელი მსგავსი ტიპის შეხვედრებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც ჩააატარებს.









# დედოფლისწყაროში მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს

8 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის სათათბირო ოთახში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ფხოველიშვილი და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს 2017 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ **არბოშიკში**:

სოფლის საბავშვო ბაღში საბავშვო გასართობი ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი მოხდება - ხელშეკრულება დადებულია, მიმდინარეობს სამუშაოები;

სოფელ არბოშიკში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა, ახალი უბნების დამატება - მიმდინარეობს სამუშაოები;

სოფელში მოეწყობა გარე განათება - ტენდერი გამოცხადებულია, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

სასმელი წყლის რეზერვუარზე მოეწყობა საქლორატორო - ტენდერი გამოცხადებულია, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

მოხდება სოფლის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მიმდინარეობს თანხების ასახვა;

სოფლის, ე.წ.ორმუღელას უბანში არსებული 50 ტონიანი წყალშემკრები რეზერვუარის გადატანა 180 მეტრით - მიმდინარეობს თანხების ასახვა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ **ზემო მაჩხაანში**:

სოფელში მდებარე საბავშვო ბაღში საბავშვო გასართობი ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი - ხელშეკრულება დადებულია, მიმდინარეობს სამუშაოები.

საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-გაფართოება - ტენდერი გამოცხადებულია,მიმდინარეობს შერჩევა- შეფასება;

სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები;

ზემო მაჩხაანის N32-ე ქუჩის საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა - მიმდინარეობს თანხების ასახვა;

სოფელში გარე განათების ქსელის მოწყობა - ტენდერი გამოცხადებულია, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

სოფლის ფარხაჩაანთ უბანში საქონლის დასაწყურებელი ავზის რეაბილიტაცია - ტენდერი გამოცხადებულია, მიმდინარეობს შერჩევა - შეფასება;

სპორტული ინვენტარის განსათავსებელი ოთახის რეაბილიტაცია - ტენდერი გამოცხადებულია, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის **სოფელ მირზაანში**:

სოფლის საბავშვო ბაღში საბავშვო გასართობი ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი - ხელშეკრულება დადებულია, მიმდინარეობს სამუშაოები;

გარე განათების მოწყობა - მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

წყალშემკრების მოწყობა წყლის დებეტის გაზრდის მიზნით - მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია გამოტოვებულ უბნებზე წყლის მიწოდების მიზნით - მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

სოფელში არსებულ სანიაღვრე არხზე ცხაურების მოწყობა - ტენდერი გამოცხადებულია, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

სოფელში არსებული სასაფლაოს შემოღობვა - ტენდერი გამოცხადებულია, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

სოფელში მდებარე საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია, ეზოს კეთილმოწყობა - ტენდერი გამოცხადებულია, მიმდინარეობს შეჩევა-შეფასება.



# აგვისტოს ომი გაიხსენეს



2008 წლის 8 აგვისტოდან 9 წელი გავიდა, მაგრამ ის ემოცია, რაც მაშინ თითოეულმა ჩვენგანმა განიცადა, კვლავ უცვლელია... აგვისტოს ხუთდღიანი ომი თავისი მძაფრი განცდებით და უამრავი გმირით მუდამ იარსებებს ჩვენს მეხსიერებაში, თაობის, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის საშინელება საკუთარ თავზე არ გამოუცდია და საომარი მოქმედებების მნიშვნელობაც მხოლოდ კინო თუ ტელეეკრანების მეშვეობით ვიცოდით.

დედოფლისწყაროსაც „დაუქნია“ თითი რუსეთმა, როცა შირაქის აეროდრომის ტერიტორიაზე ბომბები ჩამოყარა და მოსახლეობაში ომის შიში და დაუცველობის განცდა ერთად გააჩინა.

9 წლის შემდეგ დედოფლისწყაროშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, გაიხსენეს აგვისტოს მოვლენები და პატივი მიაგეს სამშობლოს ერთიანობისათვის დაღუპულთა სულებს, რომელთაც სიცოცხლე მიიტანეს საქართველოს სამსხვერპლოზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო. გარდაცვალებულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ (კაპანაძე) ეპარქიის სხვა მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინა.პანაშვიდს ესწრებოდნენ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების - გიორგი აბიათარის, გოჩა ილურიძის და აფხაზეთის ომში დაღუპულ რუბენ მურვანიძის ოჯახის წევრები.

# გიორგი კვირიკაშვილი – 2008 წლის 11 აგვისტო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ჩაიწერა

2008 წლის 11 აგვისტო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ჩაიწერა, როგორც გმირობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის კიდევ ერთი დღე, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

პრემიერის თქმით, ამ დღეს, შინდისში, გმირულად ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა სახელებს დავიწყება არ უწერია.

”2008 წლის 11 აგვისტო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ჩაიწერა, როგორც გმირობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის კიდევ ერთი დღე. ამ დღეს მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა თავდადების შეუდარებელი მაგალითი აჩვენეს - მეორე ქვეითი ბრიგადის ოცეულმა ერთი ნაბიჯით არ დაიხია უკან და 17 ჯარისკაცი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.



მათი სახელებია - ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, კახა კოშაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, მიხეილ დვალიშვილი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, რომან ზოიძე, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე და შმაგი კუპატაძე. ამ სახელებს დავიწყება არ უწერია.

ქედს ვიხრი მათი უკვდავი სულების წინაშე და პატივს მივაგებ მათ ხსოვნას”, - ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

# ჩ ვ ე ნ ი  დ რ ო ი ს  გ მ ი რ ე ბ ი

2008 წლის 11 აგვისტოს, დილის 10 საათზე, რუსეთის 53-ე არმიის 70-ე მოტომსროლელი პოლკი ცხინვალის დასატოვებლად ემზადებოდა. მეომრებს შორის იყო ვინმე დროზდოვი, რომელსაც ბატალიონის მეთაურის (გრიგორი ხარიტონოვი) თქმით, სარატოვში ქართველი მეგობარი ჰყავდა.

არმია ნიქოზისკენ მიდიოდა, უეცრად კოლონა ქართული არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოექცა. ჯარისკაცები თავზარდაცემულები უყურებდნენ, როგორ ეკიდა ცეცხლი ტანკებს და მძიმე ტექნიკას, იყვნენ დაღუპულებიც.

II ბრიგადის საშტაბო ასეული სოფელ ყელქცეულადან გორისკენ მიემართებოდა. მათ არ ჰქონდათ კავშირგაბმულობა და ასეულის ხელმძღვანელობამ არ იცოდა, რომ გორამდე არცერთი ქართული შენაერთი აღარ იმყოფებოდა.

სოფელ შინდისთან ასეულმა ტანკები შენიშნა, ერთ-ერთ ტანკს ქართული დროშა ქონდა დამაგრაბელი, რაც ქართველებმაც შეამჩნიეს და აუღელვებლად გააგრძელეს გზა. უეცრად, რკინიგზასთან, გამაყრუებელი ხმა გაისმა, კოლონის პირველი და ბოლო მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია, შიგ მსხდომებმა გადმოსვლა ვერ მოასწრეს... ასეულის მეთაური მიხვდა, რომ ის ტანკები რუსული იყო და დროშა სატყუარა.

ამ დროს რუსული კოლონა უხალისოდ მიდიოდა და ბატალიონის მეთაური, ხარიტონოვიც სდუმდა. დუმილი რადიოკავშირმა დაარღვია, რომელმაც მათ აცნობა, რომ რუსული დაჯგუფება შინდისთან ქართველების ჩასაფრებაში მოჰყვა და ითხოვდნენ დახმარებას. ხარატონოვი მეომრებთან ერთად შინდისისკენ გაემართა.

შინდისში, რუსების მეთაური გაოგნებული იყო ქართველების წინააღმდეგობით. გრიგორ ხარატონოვმა გადაწყვიტა, რომ ისინი არ ეყოფოდნენ ქართველებს და რადიოკავშირის საშუალებით კიდევ ერთი დამხმარე ჯგუფი და მძიმე ტექნიკა გამოიძახა.

რიცხობრივმა უპირატესობამ ბოლოს მაინც თავისი გააკეთა და ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ.

ადგილზე მისული რუსები გაკვირვებულები დარჩნენ.

ხარიტონოვი და მეორე მეთაური გაოგნებულები და გაქვავებულები იდგნენ, გვამები გადათვალეს და მხოლოდ 12 კაცი აღმოჩნდა.

ჯარისკაცი საშა დროზდოვი გაოცებული იდგა და არ სჯეროდა, რომ მათ თითქმის ასეულს, მხოლოდ 12 ქართველი ებრძოდა. ბატალიონის მეთაური ხარატონოვი მდუმარედ იდგა და ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს...

-აი ასეთი ბიჭები, რომ მყოლოდა იქ...- ჩაილაპარაკა და გაბრუნდა. დროზდოვმა კი გაიფიქრა რომ იგი ჩეჩნეთს გულისხმობდა.. შინდისის უთანასწორო ბრძოლას სულ 17 ქართველი შეეწირა, მათ წინააღმდეგ გამოყენებული იქნა თითქმის ყველა სახის იარაღი, ტანკების 125მმ-იანებით დაწყებული ნაღმტყორცნებით, სხვადასხვა ქვემეხებით, ტყვიამფრქვევებით დამთავრებული.





* * *

სოფელ შინდისის მაცხოვრებლები ჰყვებიან:

„ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს, ჩვიდმეტიდან ერთადერთი საღ-სალამათი ჯარისკაცი, რომელსაც შეუძლია გაქცევა, მუხლებზე დასვენებული დაჭრილი თანამებრძოლის თავს გულში იხუტებს, ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს და სადღაც რეკავს..

„მიპასუხე, მამაო, ღმერთო, არ გადის ეს დალოცვილი ზარი” -ისმის ტკივილით ნათქვამი სიტყვები. მერე მობილურს მოისვრის და დაჭრილ ბიჭებს გასძახებს, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, „ლიმონკა” მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნება.

მე ვილოცებ, თქვენ თუნდაც გულში გაიმეორეთო და... ბრძოლის ველზე ანგელოზის გალობასავით გაისმის „მამაო ჩვენო”. ლოცვის დასრულების შემდეგ მცირე პაუზა იყო და უცებ ყველაფერი წამებში მოხდა, აფეთქებამ ანგელოზის ხმაც წაშალა და ისიც, ვისი ყელიდანაც ის ხმა ამოდიოდა.

აღარც ის დაჭრილი ჩანდა, მეგობრის მუხლებზე რომ ედო თავი. ჯარისკაცმა ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიღუპა გულში ჩახუტებული ნათლულიც - რომან ზოიძე. გამუდმებით ეხვეწებოდა ნათლული ნათლიას, ეს არ ქნა, წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისთვის ილოცეო. „არა” - უპასუხა ალეკომ..

ალეკო მობილური ტელეფონით მოძღვართან დარეკვას ცდილობდა, სურდა, საკუთარი თავისა და თანამებრძოლების შენდობა ეთხოვა...

ასე გალობითა და ლოცვით გადავიდნენ იმიერ საქართველოში ეს ბიჭები, ჩვენ კი ვაჟკაცობის საოცარი მაგალითი დაგვიტოვეს”..

შინდისელები იხსენებენ, რომ მოწინააღმდეგის ვაჟკაცობით გაოგნებულმა მტერმა, დახოცილების ნივთებს ხელი არ ახლო..

ახლა ეს ნივთები მემორიალის საკუთრებაა..

ერთ-ერთი გმირის, მიშიკო დვალიშვილის ცხედარი შინ რომ მიასვენეს, მას ყველაფერი თან ჰქონდა - იარაღიც, ჯავშანჟილეტიც და მობილური ტელეფონიც...

და ჯიბეში, ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ლექსი, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე რომ დაწერა -

„ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები, გულისკაცები და ვაჟკაცები..
ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიდევს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს.
ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ”..

ის ლექსებს წერდა და სიგიჟემდე უყვარდა საქართველო..

# მიზნამდე ჯერ კიდევ შორია...

## ხანძრების შემდეგ გერმანული მხარე დედოფლისწყაროში მუშაობას აგრძელებს, თუმცა, სხვა მიდგომით

***გასული ზაფხულებისგან განსხვავებით, მინდვრად გაჩენილი ხანძრების კუთხით წელს უკეთესი ვითარებაა, ფერმერებმა ნაკვეთები წესების დაცვით გადაწვეს და ქარსაცავი ზოლები არ დაზიანებულა. ქარსაფარი ზოლების მონიტორინგი აქტიურად მიმდინარეობს. საველე ექსპერტები ამბობენ, რომ წინა წლებთან შედარებით ამაღლდა მოსახლეობის დამოკიდებულება ქარსაფარების დაცვის კუთხით. მათი განმარტებით, ამ სეზონზე გადამწვარი ნაკვეთების 80% გარშემო შემოხნული იყო, რამაც ნერგების ხანძრისგან დაცვა უზრუნველყო, ასეთი მაღალი მაჩვენებელი კი ბოლო ხანს თითქმის არ ყოფილა.***

2015 წელს დედოფლისწყაროში ალოობის შემდეგ მასობრივი ხანძრების შედეგად, მინდვრად ახლადაღდგენილი და ძველი, ასევე ქარსაცავების დიდი ნაწილი დაიწვა. იმხანად გარემოს დაცვის მინისტრმა ვითარება კატასტროფულად შეაფასა. მკვეთრი განცხადებები გააკეთეს გერმანელმა ექსპერტებმაც. არადა, შირაქის მკითხველს კარგად ახსოვს, რომ ბოლო ათწლეულში შირაქის ველზე რამდენიმე მილიარდიევრო დაიხარჯა ნერგებზე, რომელიც ასე ერთი ხელის მოსმით გადაიწვა. გერმანული მხარის დაფინანსებით, სოლიდური თანხები დაიხარჯა კლიმატის ცვლილების შესარბილებლად და დღესაც იხარჯება იმისთვის, რომ წლების წინ მასობრივად განადგურებული ქარსაფარი ზოლები აღდგეს, ამან სარგებელი კონკრეტულ ფერმერებსაც მოუტანოს და ზოგადად, გაუდაბნოების პროცესი შეაჩეროს. ამ ფონზე მასშტაბური ხანძრები და მნიშვნელოვანი ზარალი განსაკუთრებით დამამძიმებელი აღმოჩნდა, რადგან ცნობილია, რომ გაუდაბნოებისკენ ყველაზე მეტად მიდრეკილ დედოფლისწყაროს ასეთი მასშტაბური ცეცხლი კიდევ უფრო სავალალო შედეგებს მოუტანდა.

მას შემდეგ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსთან ერთად ცდილობენ საკანონმდებლო რეგულაციები შეიმუშაონ, რაც მინდვრის გადაწვის მავნე პრაქტიკას ჩაანაცვლებს და ვითარებას გამოასწორებს. სახელმწიფო მზადაა, ისეთი მოდელი შეიქმნას, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ფერმერების და ადგილობრივი გლეხების ინტერესი. მიწათმოქმედები მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ მინდვრის გადაწვის უარყოფითი მხარეები მათთის კარგადაა ცნობილი, მაგრამ დამატებითი ხარჯების გაწევას ერიდებიან და ნაკვეთის გასუფთავების იოლ, მაგრამ მავნე ფორმას ირჩევენ. ყველა გამოკითხვის შედეგად გამოჩნდა, რომ ფერმერები მიწის გადაწვის აკრძალვის საკითხს ემხრობიან, თუმცა, სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვენ ნამჯის ნაკვეთიდან გატანის, ან ნიადაგში ჩახვნის პროცესში. ამგვარად დამუშავება დამატებით სპეცტექნიკას და დამატებით თანხებს მოითხოვს.

ახლადაშენებული ქარსაცავი ზოლების დაწვის შემდეგ გაჩნდა კითხვა, რამდენად გააგრძელებდა გერმანული მხარე ფულის ხარჯვას და პროექტების განხორციელებას იმ რაიონში, სადაც ადგილობრივების მიერ თითქმის სრულად განადგურდა წლების მანძილზე შრომით მიღწეული შედეგი.

მას შემდეგ დედოფლისწყაროში მხარეების ჩართულობით უამრავი შეხვედრა გაიმართა. იყო მაღალი დონის შეხვედრებიც, სადაც მინისტრები და არაერთი პარლამენტის წევრიც იყო ჩართული. ითქვა, რომ გადაწვა აიკრძალება, თუმცა ისე, რომ მოდელი მაქსიმალურად ეფექტური იყოს პრაქტიკაში და გლეხს ჰქონდეს ალტერნატიული გზა.

გასულ კვირას, შირაქის ველზე, ე.წ. „შავჭრელების“ მიმდებარედ გაშენებული ქარსაფარი ზოლის აერო-ფოტოგადაღებები განხორციელდა. პროგრამის ავტორები გეგმავენ, შეიქმნას ერთიანი საინფორმაციო ბანკი, სადაც ციფრულ ფორმატში თავს მოიყრის მონაცემები, რომლებიც სპეციალისტებს ანალიზის საშუალებას მისცემს. **GIZ**–ის ექსპერტებთან ერთად უპილოტო საფრენი აპარატის გაშვებას დედოფლისწყაროს გამგებელიც ესწრებოდა.

წელს გერმანული მხარის დაფინანსებით ახალი საცდელი პროექტი დაიწყო, სადაც ხუთ კილომეტრზე სხვადასხვა ჯიშის ნერგი დაირგო. როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების დედოფლისწყაროს საველე კოორდინატორი ამირან კოდიაშვილი „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, ამჯერად რვა სხვადასხვა ადგილას, განსხვავებული მეთოდოლოგიით 9 სახეობის გვალვაგამძლე ჯიშებია დარგული. პროექტით გათვალისწინებულია მათი ნაწილის მორწყვა, ნაწილის-არა, რათა შედარება მოხერხდეს. სატესტო პროექტის შედეგად უნდა გამოვლინდეს, რომელი ჯიშები და მოვლის რა მეთოდია ყველაზე ეფექტური შირაქის ველისთვის. ცდების დასრულების შემდეგ ექსპერტები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შესთავაზებენ რეკომენდაციას, თუ როგორ და რა მეთოდოლოგიით უნდა მოხდეს განადგურებული ქარსაფარების აღდგენა და რა ღონისძიებები უნდა დასახოს ხელისუფლებამ ამ პრობლემის გადასაჭრელად. კოდიაშვილის განმარტებით, ხანძრების შემდეგ გერმანული მხარე დედოფლისწყაროში მუშაობას აგრძელებს, თუმცა სხვა მიდგომით.

ამირან კოდიაშვილი (**GIZ**–ის საველე კოორდინატორი დედოფლისწყაროში): მასშტაბური ხანძრების შემდეგ, როცა შირაქში ქარსაფარების 90% განადგურდა, **GIZ**–მა დედოფლისწყაროში შექმნა ახალი პროგრამა, რომელშიც ჩაერთო სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება და სხვა პარტნიორები. ქარსაფარი ზოლების გადარჩენისათვის ცალკეული სამუშაოების განხორციელება დაიგეგმა და ისინი გეგმის მიხედვით, ეტაპობრივად ხორციელდება. ამჟამად, ნაკვეთების გადაწვასთან დაკავშირებით, 9%-იანი წინსვლა გვაქვს, გასულ წელს კი 50%-ით შემცირდა ქარსაფარების გადაწვის მაჩვენებელი. წელს კიდევ უფრო საუკეთესო შედეგი გვაქვს, ამ დრომდე არ დამწვარა არცერთი ქარსაფარი ზოლი. უამრავ ადგილას ვნახეთ, რომ გადაწვამდე ქარსაფარი შემოხნული იყო, რამაც დაიცვა მცენარეები განადგურებისგან. როგორც ჩანს, ჩვენმა საინფორმაციო კამპანიამ შედეგი გამოიღო. მაგრამ ჩვენ რის მიღწევისთვისაც ვიბრძვით, ჯერ იმ მიზნისგან შორს ვართ. ნაკვეთების გადაწვა კვლავ მასიურ სახეს ატარებს, რაც თავის მხრივ ზიანს აყენებს მოსავლიანობის მაჩვენებელს და თავად მოსახლეობას შემოუბრუნდება. ამ ეტაპზე ჩვენ ვაგრძელებთ ქარსაფარი ზოლების მონიტორინგს, ამისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებს ვიყენებთ. უპილოტო საფრენი აპარატებით ვახდენთ აეროგადაღებას და ვაფიქსირებთ შედეგებს. ეს ტექნიკა დაგვეხმარება, რომ შევქმნათ ერთიანი საინფორმაციო ბანკი, გავაანალიზოთ საიდან ხდება ხანძრების გავრცელება ქარსაფარ ზოლებში და ვინ არის დამნაშავე. რაც შეიძლება დროულად ისეთი გადაწყვეტილებები და რეგულაციები უნდა მივიღოთ, რომ მოდელი მოსახლეობისთვის მაქსიმალურად მისაღები იყოს. როგორმე უნდა მივაჩვიოთ სწორი მეთოდით ნაკვეთის გასუფთავება დამუშავებას და გადავაჩვიოთ გადაწვის მავნე პრაქტიკას. ვიმეორებ, რომ წლევანდელ სეზონზე დაკვირვებით, წინა წლებისგან განსხვავებით, ნათელია, რომ მოსახლეობამ მკვეთრად გააუმჯობესა თავისი დამოკიდებულება ქარსაფარი ზოლების დაცვის მიმართ. მონიტორინგისას გამოჩნდა, რომ წელს გადამწვარი ნაკვეთების 80% შემოხნულია, რის შედეგადაც გარშემო ქარსაცავების დაცვა მოხერხდა. ასეთი მაღალი მაჩვენებელი აქამდე არ ყოფილა. სულ მალე მოხდება დაწვრილებითი გაანალიზება და კონკრეტული შედეგები გვეცოდინება რამდენი პროცენტით გაუმჯობესდა ვითარება. პროგრამის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო დეტალური მონაცემები გვექნება“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი **(დედოფლისწყაროს გამგებელი):** „ორი წელია, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, **GIZ**–თან ერთად ადგილობრივ მოსახლეობასა და ფერმერებთან აერაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სხვადასხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ტიპის კამპანია ვაწარმოეთ იმასთან დაკავშირებით, რომ არ შეიძლება და დიდი ზიანი მოაქვს ნაკვეთის გადაწვას. ძალიან აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური. როგორც ჩანს, მათი მუდმივი მონიტორინგი შედეგის მომტანი აღმოჩნდა. ალოობის დაწყებისთანავე ისინი ყოველდღიურად გადიან ადგილზე და რეაგირებას ახდენენ ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე. საბოლოო ჯამში წელს ყველაზე უკეთესი ვითარება გვაქვს, ამ დროისთვის დამწვარი ქარსაფარი თითქმის არ შეგვხვედრია. შემცირებულია გადაწვების რაოდენობა და ისინი, ვინც მაინც წვავენ ნაკვეთს, უმეტეს შემთხვევაში ახორციელებენ გარშემო შემოხვნას და მართული გადაწვა ქარსაფარის დაცვას თავიდან გვარიდებს. კიდევ ერთხელ მინდა, მოსახლეობას მოვუწოდო, მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ და დაიცვან ქარსაფარები ცეცხლის გავრცელებისგან. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ქარსაცავების შენარჩუნება პრინციპულად მნიშვნელოვანია. სიხარულს გამოვხატავ იმაზეც, რომ თვითშეგნების დონე ამაღლდა და წელს წინგადადგმული ნაბიჯები გვაქვს, კარგი შედეგია და ამის ხაზგასმა აუცილებელია. შარშანდელი წელიც შედარებით უკეთესი იყო. წელსაც ბოლო მონაცემებით ქარსაცავი ზოლების ნულოვანი დაზიანება გვაქვს“.





**თვითშეგნების დონე ამაღლდა, შარშანდელი წელი უკეთესი იყო. წელსაც ბოლო მონაცემებით ქარსაცავი ზოლების ნულოვანი დაზიანება გვაქვს**

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# წარმატებული ექიმი და საპატიო მოქალაქე

დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე რომ გახდე, ღირსეული და საპასუხისმგებლო გზა უნდა განვლო ცხოვრებაში, უნდა იყო პიროვნება, მისაბაძი და მაგალითის მიმცემი. უკვე წლებია ჩვენს რაიონში ელიაობის დღესასწაულთან ერთად „დედოფლისწყაროობა“ იმართება და ტრადიციადაა ქცეული, ამ დღეს რაიონის საზოგადოების წევრებისთვის როგორც წარმატებული, ისე საპატიო მოქალაქეობის სტატუსის მინიჭება. წელს ეს პატივი ხვდა წილად ჩვენი რაიონის კიდევ ხუთ მოქალაქეს. დღეს თქვენს ყურადღებას დავუთმობთ დედოფლისწყაროელ და უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, თბილისში მოღვაწე, ცნობილ ჩვილ ბავშვთა პედიატრს, ბ-ნ დიმა(დიმიტრი) ტოკლიკიშვილს. დიმა ექიმს თბილისი და თბილისელები იცნობენ როგორც ბავშვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე მზრუნველს, პროფესიონალს, გადაწყვეტილების სწრაფად მიმღებსა და სიახლეების მაძიებელს, რისკიანსა და კაცთმოყვარეს, ამიტომაც დიდ იმედებს ამყარებენ მასზე და თავიანთი პატარების ჯანმრთელობას უყოყმანოდ ანდობენ. დღეს მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად გთავაზობთ მასთან ჩაწერილ ბლიც-ინტერვიუს.

მინი დოსიე: დაიბადა 1958 წლის 24 აგვისტოს, წითელწყაროში, პედაგოგების ოჯახში.

1965-1975 წწ. წითელწყაროს N1 საშუალო სკოლის მოსწავლე. 1975-1981 წწ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის სტუდენტი.

1978-1981 წწ. ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს(ამჟამად მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა) რეანიმაციული განყოფილების ღამის მორიგე ექთანი.

1981-1983 წწ. ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს(ამჟამად მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა) რეანიმაციული განყოფილების ექიმი.

1983-1993 წწ. აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი და ახალშობილთა რეანიმაციის სამსახურის ხელმძღვანელი.

1993 -2003 წწ-თბილისის N2 სამშობიარო სახლის ახალშობილთა განყოფილების გამგე.

1998-2012 წწ. სამშობიარო სახლი „ბიბიდა“-ს ახალშობილთა განყოფილების გამგე და „დეკა“-ს პედიატრიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2012 წ. დღემდე „მედისონ ჰოლდინგის“ სამედიცინო დირექტორი, ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ჰყავს მეუღლე- ლამარა მაღრაძე, ექიმი-პედიატრი. სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

ბლიც ინტერვიუ

**-ვერასოდეს წარმოვიდგენდი,** რომ ინფორმაციების ასეთი სწრაფი და მასშტაბური ხელმისაწვდომობა იქნებოდა.

**-მოვლენა, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა** -დაოჯახებაა.

**-უარს ვერასოდეს ვიტყვი** ადამიანების დახმარებაზე.

**-როცა მაქებენ,** თავს უხერხულად ვგრძნობ.

**-როცა მატყუებენ,** თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ.

**-როცა მაკრიტიკებენ,** არც მე მსიამოვნებს, მაგრამ, ვიცი, რომ კრიტიკა ისევ ჩემს სასარგებლოდაა და ბოლომდე ვისმენ, რა თქმა უნდა, არგუმენტირებულ კრიტიკას.

**-ბოროტება ჩემთვის არის ის,** რაც ათი მცნებით მიუღებელია.

**-ვნანობ,** რომ ბევრი დრო დავკარგე უქმად.

**-ჩემთვის მიუღებელია** ღალატი.

**-არასოდეს ვამბობ-** სიტყვას „არასოდეს“, იმიტომ რომ ამას არსთა გამრიგე წყვეტს.

**-ცხოვრება რომ თავიდან იწყებოდეს,** უფრო მეტს, ძალიან ბევრს ვისწავლიდი.



**-თავისუფლება არის ის,** როცა არ გაიძულებენ წახვიდე შენი ზნეობის, მრწამსის წინააღმდეგ. ზოგჯერ სიკვდილიც კი თავისუფლებაა.

**-ჩემი კომფორტისთვის აუცილებელია** მშვიდი ოჯახური გარემო, რაც მაქვს კიდეც.

**-დედოფლისწყარო ჩემთვის არის** ტკივილიც და სიხარულიც ერთდროულად.

**-ტყუილი გამართლებულია,** როცა მომაკვდავს ეუბნებიან დასამშვიდებლად...

**-რამ შეიძლება მდგომარეობიდან გამომიყვანოს?** ადამიანების ზღვარგადასულმა, უზნეო საქციელმა.

**-ჩემთვის მიუღებელია** ათი მცნების დარღვევა- ჩემი კოდექსიც ეგაა.

**-ყველაზე ხშირად ვფიქრობ ბავშვობაზე,** იმიტომ რომ “ჩვენ ყველა ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ”, მაშინ ვიღებთ ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც მთელი ცხოვრება მიგყვება.

**-ხელისუფლებაში ყოფნა** არის ჩემთვის წარმოუდგენელი, კაცმა უნდა იცოდე, რა სიმძიმის ტარება შეგიძლია.

**-მარადიულია -** რა თქმაუნდა, უფალი და მასთან დაკავშირებული ყველაფერი.

**-განმარტოება** მიყვარს, როცა ძალიან ვიღლები.

**-მეშინია რისი?** ნებისმიერი შიში, საბოლოოდ სიკვდილის შიშია, ეს ყველა ადამიანში ერთნაირადაა კოდირებული.

**-სტიმულს მაძლევს** პოზიტიური გარემო.

**-ბედნიერება არის** ადამიანის უნარი, შეიგრძნოს სიხარული, ეს ერთადერთ საზომად მიმაჩნია.

**პატივისცემით,**
დიმა ტოკლიკიშვილი
**10 აგვისტო, 2017 წელი**

**მასალა მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# რა დაავადებებს იწვევს კონდიციონერი და რა უნდა გაითვალისწინოთ გაგრილების დროს – ექიმის რეკომენდაციები

*კონდიციონერს, ცხადია, გამაგრილებელი ფუნქცია აქვს და დასიცხული ადამიანების მდგომარეობას საგრძნობლად ამსუბუქებს, მაგრამ რიგი დაავადებების პროვოცირებაც შეუძლია.*

**რა უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს კონდიციონერს ადამიანის ჯანმრთელობაზე და უშუალოდ რომელ დაავადებებს იწვევს ორგანიზმში?**




სპეციალისტის თქმით, კონდიცირებისას ჰაერის გამოშრობა ხდება, დეიონიზაცია. გარემო იონებისგან იცლება, არადა, იონები ორგანიზმისთვის აუცილებელია. ირღვევა თერმორეგულაცია (გარეთ 40 გრადუსი სიცხეა და შიგნით - 20 გრადუსამდე გაციებული ოთახი), რისთვისაც ადამიანის ორგანიზმი მზად არ არის.

როგორც ექიმი ამბობს, კონდიციონერი ყველაფერთან ერთად, ბაქტერიების გავრცელების წყაროა (განსაკუთრებით, ცენტრალიზებული კონდიცირება) და საქმე გვაქვს ბაქტერიულ ფლორასთან, ანუ სივრცეში, სადაც ადამიანები იმყოფებიან, დაბინძურებულ ფილტრებს ჰაერთან ერთად, ბაქტერიული ფლორა შემოაქვს (ბაქტერიები, მიკრობები, ათასი ინფექციის გამავრცელებელი ელემენტი).

**- ეს ყველაფერი ხომ გარეთ, ატმოსფეროშიც ტრიალებს და მათ ისედაც შევისუნთქავთ...**

- კი, მაგრამ გარეთ გაშლილი გარემოა, აქ კი მოკლე ფილტრებში ხდება ბაქტერიების ჩაბუდება და შემდეგ იმ სივრცეში გავრცელება, სადაც ვიმყოფებით. ეს იმ შემთხვევაში, თუ კონდიციონერს სათანადოდ არ ვუვლით...

**- უშუალოდ რა დაავადებებს იწვევს?**

- ისეთ მწვავე რესპირატორულ დაავადებებს, როგორიც არის გაციება, ვირუსული ინფექციები, ტრაქეიტი, ბრონქიტი, სინუსიტის, ფარინგიტი, პნევმონია, შარდ-სასქესო სისტემების დაავდებები (განსაკუთრებით ქალებში, (ცისტიტის სახითაა გამოხატული), საყრდენ-მამოძრავებელი და კუნთოვანი სისტემის დაავადებები, მიოზიტი, ნერვულ სისტემაზე გავრცელებული დაავადებები, ჰერპესი და ა.შ.

როდესაც კონდიციონერი ადამიანს პირდაპირ უბერავს, ეს მექანიკური დაზიანებაა, ამიტომ უნდა ვეცადოთ, ეს ჭავლი ავიცილოთ, არ უნდა გვიბერავდეს. საჭიროა, გარე და შიდა გარემოში დაცული იყოს ტემპერატურული რეჟიმები. სხვაობა დაახლოეობით, 4-დან 6 გრადუსამდე უნდა იყოს და არა ვთქვათ, 10-12, ან 20 გრადუსი.

**- თუ გარეთ 40 გრადუსია, ხოლო კონდიცირების შედეგად ოთახში 21-24... ამ დროს რა ხდება?**

- ეს დიდი ცვალებადობაა, სადაც მარტივი გამოსავალი ასეთია: სანამ 45-გრადუსიანი გარესივრციდან კონდიცირებულ 23-24 გრადუსში შეხვალთ, ცოტა ხანს შუალედურ გარემოში შეყოვნდეთ, სადაც ტემპერატურა გათანაბრებული იქნება. ეს დაახლოებით გარედან შემოსული ადამიანის მიერ ცივი ყინულიანი წყლის მიღებას ჰგავს. არადა, ჯერ ოთახის ტემპერატურის წყალის მიღება ჯობია და მერე ყინულიანის. დაახლოებით ასევეა კონდიციონერთან მიმართებაშიც. ამიტომ, სასურველია, შევყოვნდეთ შუალედურ გარემოში (ჰოლი, დერეფანი, მისაღები ოთახი) და შემდეგ გადავინაცვლოთ გაგრილებულ ოთახში, რომ ჩვენმა სასუნთქმა სისტემამ გარემო ცვლილებებსა და გარდატეხაზე ადაპტაცია მოახდინოს.

**- ალბათ მნიშვნელოვანია კონდიციონერის, თავად აგრეგატის ხარისხიც.**

- რა თქმა უნდა, როცა მაღალი დონის კონდიციონერი დგას, იქ რისკები ნაკლებია. დაუშვებელია იაფფასიანის დაყენება, ეს დამღუპველია. თანამედროვე კონდიციონერები, როგორც ვთქვით, თვითონ ახდენენ ოთახში იონიზაციისა და ტენიანობის დონის შენარჩუნებას და რაც მთავარია, მოქალაქეების ბაქტერიებისგან დაცვას. ისეა აღჭურვილი, რომ ჭავლს ადამიანს თვითონ არიდებს, მიმართულებას უცვლის, რომ მექანიკური დაზიანება არ მოხდეს.

**- თავი როგორ დავიცვათ მოსალოდნელი საფრთხეებისგან?**

- კონდიციონერს სწორად უნდა შერჩევა, შემდეგ ბიოფილტრების ხშირი ცვლაა საჭირო, ან რეცხვა, მტვერსასრუტით გაწმენდა. თუკი ერთხელ მაინც გინახავთ კონდიციონერის ფილტრი, ნახავდით, როგორი დაბინძურებულია. ამიტომ, წელიწადში 2-ჯერ უნდა გაიწმინდოს, განსაკუთრებით იქ, სადაც საზოგადოების თავშეყრის ადგილებია (ორგანიზაციები, ოფისები, კლინიკები).

ხაზგასმით საშიშია ცენტრალური კონდიცირების შემთხვევა, - ამ დროს ინფექციამ შეიძლება ერთი სივრციდან მეორეში გადაინაცვლოს, მეორედან მესამეში და ა.შ. ამიტომ, ბიოფილტრების გაწმენდა-გარეცხვისას ბაქტერიების გავრცელების საფრთხე ნაკლებია.

ხშირია პნევმონიების რისკი და ერთ-ერთი საშიში პნევმონიაა ‘’ლეგიონელას’’ მიერ გავრცელებული (პნევმონელა ლეგიონელა). აგრესიული ბატქერიაა, რომელიც ისეთი მწვავე რესპირატორული დაავადებების განვითარებას იწვევს, როგორიცაა ფილტვების ანთება. “ლეგიონელა” იმიტომ ჰქვია, რომ სივრცეში ადამიანები ერთად და მჭიდროდ იმყოფებიან. ეს უჯრედშიდა გავრცელების ატიპიური მიკრობია, რომელიც, როგორც ვთქვით, დიდი აგრესიულობით გამოირჩევა. ამიტომაც, ექიმები მასთან საბრძოლველად მზად უნდა იყვნენ, დაიწყონ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკოთერაპია...

მოკლედ, სიმპტომების გამოვლენისას, მიყრუება არ შეიძლება, მკურნალობისთვის პაციენტმა ექიმს აუცილებლად უნდა მიმართოს. თუმცა თუ კონდიციონერს გონივრულად მოვიხმართ, ამ საფრთხეებს ავიცილებთ.

**- ცხადია, მისი მთელი დღის განმავლობაში ჩართვაც დაუშვებელია...**

- რასაკვირველია, როგორც ვთქვით, ის მასობრივად ჰაერს აშრობს და თერმული ბალანსს არღვევს. ამ შემთხვევაში მარტივია რამდენიმე წუთი გამოვრთოთ კონდიციონერი, ჯერ ერთი, აგრეგატიც დაისვენებს. გამორთვის შემდეგ უნდა გაიღოს კარი ან, ფანჯარა, რომ დახურულ სივრცეში მსხდომებმა ახლი ჰაერის ნაკადი ისუნთქონ, რომელიც მიკროსამყაროს ჟანგბადით აღადგენს, რაც ასე აუცილებელია ჩვენი არსებობისა და სასუნქი სისტემისთვის...

ამასთან, ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ დაუშვებელია ჩართულ კონდიციონერის ატმოსფეროში ძილი, რადგანაც დილით ადამიანს გარანტირებული აქვს უმძიმესი დაავადებები...

**- როგორც ვიცი, ხმის იოგებზეც მოქმედებს...**

- ჰაერის გამოშრობისა და დეიონიაციის შედეგად ხმის ტემბრიც იცვლება. ამიტომ, პროფესიონალების რეკომენდაციაა, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე ხნით გამორთოთ, გაანიავოთ ოთახი, აღადგინოთ ტენიანობის ბალანსი და შემდგომ ისევ ჩართოთ, ვინაიდან ეს მოწყობილობა ჩვენთვის არა მტერი, არამედ მეგობარია...

# კლუბური ნარკოტიკი – ახალი საცდური ახალგაზრდებისთვის?!

ბოლო დროს ნარკოტიკული საშუალებების ზედოზირებით საავადმყოფოებში არაერთი ახალგაზრდა მიიყვანეს. ექიმების თქმით, ყველაზე ხშირად ე.წ. კლუბური ნარკოტიკების მომხმარებლები შეჰყავთ კლინიკებში. ბოლო გახმაურებული შემთხვევა ანაკლიაში 3 აგვისტოს მოხდა - ელექტრონულ მუსიკალურ ფესტივალ "ჯემ ფესტზე" მხოლოდ ერთ დღეში, "სასწრაფოს" ბრიგადებმა ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში¬ 10 ახალგაზრდა მოათავსეს. პაციენტებს დაუზუსტებელი სუბსტანციით მოწამვლის ნიშნები აღენიშნებათ. 29 წლის მამაკაცის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა, ის მართვითი სუნთქვის აპარატზეა შეერთებული. 22 წლის ნათია კი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა - სიკვდილის მიზეზი გაურკვეველი ნივთიერების გადაჭარბებული დოზა გახდა... ფესტივალის სტუმრები ამბობენ, რომ ე.წ. კლუბური

ნარკოტიკი ანაკლიაში, საფესტივალო ზონაში, თავისუფლად იყიდება. ორგანიზატორები ამას უარყოფენ, თუმცა პოლიციამ კლუბური ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

ზედოზირებით პაციენტები კლინიკებში¬ სხვა ქალაქებშიც ხშირად ხვდებიან. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს ასეთი შემთხვევების სტატისტიკური მონაცემები არა აქვს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ხშირად ისინი გულის უკმარისობით იღუპებიან და დასკვნაში სწორედ ეს დიაგნოზი წერია. თუ გვამის გაკვეთა არ მოხდა, კონკრეტულად რა ნივთიერებით დაიღუპა პირი, ამის დადგენა შეუძლებელია.

ექიმი ნარკოლოგი თათა ასათიანი¬ შემაშფოთებელ ინფორმაციას გვაწვდის: - ბოლო ხანს გამოჩნდა ე.წ. მძიმე ნარკოტიკები. ადრე ფულიც და სურვილიც რომ გქონოდა, ჰეროინს, სუბოტექსს, მეტადონს ვერ იყიდდი საქართველოში, ახლა კი თავისუფლად იყიდება. მძიმე ნარკოტიკებს ახლავს ზედოზირება, სუნთქვის დათრგუნვა, რაც ხშირად ლეტალურად მთავრდება.

ზედოზირება იწვევს პანიკურ რეაქციებს, ფსიქოზურ აშლილობებს, კრუნჩხვებს, ებინდებათ გონება და მდგომარეობა რთულდება. უმძიმესი¬ შედეგები პირველმომხმარებლებს¬ აქვთ. გახშირდა ე.წ. აბაზანის მარ¬ილის ინტრავერტულად მოხმარება, რაც უმეტესად სიკვდილს იწვევს.

**- საათიაქო ნარკომანიაზე რას იტყოდით?**

- მასზე კონტროლი გაძლიერდა, სამაგიეროდ, მძიმე ნარკოტიკმა მოიმატა.

**- კლუბური ნარკოტიკები გახშირდა?**

- კლუბებში ექსტაზს, მარიხუანას, ემდ¬ემას მოიხმარენ. არის სხვა მოსაწევი, ბიონარკოტიკი, რომელიც შეიცავს სინთეზურ კა¬ნაფოიდებს, აბაზანის მარილები ნეფედ¬რონს შეიცა¬ავს¬, ელეზეს თვალში ან ცხვირში იწვეთებენ... ნარკომანია საგრძნობლად გაახალგაზრდავდა, უკვე 16 წლის გოგო-ბიჭები მოგვმართავენ.

თამუნა ბოკუჩავა, ფსიქოლოგი: - 16-17 წლის ახალგაზრდები უკვე წამალზე დამოკიდებული არიან. მათთვის ნარკოტიკი ხელმისაწვდომი გახდა. გოგონებიც ხშირად¬ მოიხმარენ. ამის მიზეზი არის ის წრე და სოციუმი, სადაც ტრიალებენ.

სკოლის მოსწავ¬ლეები ერთმანეთს ურჩევენ, - წამ¬ალი დალიე და გამოცდას კარგად ჩააბარებო.

კლუბში წასვლა ასოცირებულია ნარკოტიკის მიღებასთან. ბევრი პაციენტი გვეუბნება, იქ წასვლას ისე აზრი არა აქვსო.

ძალიან სახიფათოა ალკოჰოლის და ე.წ. ბიოს ერთად მოხმარება. ბოლო დროს გოგო-ბიჭები მოგვმართავენ პანიკური შეტევებით და ფსიქიკური პრობლემებით. აქვთ დაუძლეველი შიშები, აბსოლუტურად ვერ მართავენ ქცევა-ემოციას, აზრებს...

არის შემთხვევები, როცა მომხმარებელი ზედოზირების დროს გამოცდილ ადამიანს გამოუყვანია მდგომარეობიდან და სხვა მედიკამენტის მოხმარებას ურჩევს, რომელიც მერე დამოკიდებულებას იწვევს...

ერთი წელიწადია, ბაზარზე ისევ გამოჩნდა ოპიუმის ჯგუფი, ჰეროინი, სუბოტექსი და ა.შ. ის, რაც აკრძალული იყო. ამბობენ, ყველა სახის ნარკოტიკის შეძენა იოლად შეიძლებაო, რაც კრიმინალის ზრდას გამ¬ოიწვევს და პრობლემას შეუქმნის საზოგადოებას, რადგან მომხმარებელს ფული სჭირდება - ნარკოტიკი საკმაოდ ძვირია, ერთი აბი სუბოტექსი 800-დან 1000 ლარამდე ღირს.

**- რას ჰყვებიან, რატომ იწყებენ მოხმარებას?**

- მოხმარება იწყება ასე: დამწყებს რამდენჯერმე ნარკოტიკს ჩუქნIAიან. მერე მას მოთხოვნილება უჩნდება და ყიდულობს. უფრო შეძ¬ლებული ოჯახის შვილები ეხვევიან ამ ბადეში. გოგონები ამბობენ, კლუბებში¬ ნარკოტიკებს გვჩუქნიანო. კლუბური ნარკოტიკების სახეობები¬ ყოველდღე იცვლება და ხშირად არც კი იციან, რას იღებენ. ახალ-ახალი ნარკოტიკები ჩნდება ბაზარზე და ექიმებსაც უჭირთ დადგენა...



სტიმულატორების ჯგუფის ნარკოტიკის ერთჯერადი მიღებაც ძალიან საშიშია, რადგან იქიდან გამოსვლის პროცესი მძიმეა. აქვს ეფექტი, რომ დიდ ენერგიას აძლევს ადამიანს, აქვს სიხარულის, ბედნიერების შეგრძნება, მაგრამ მეორე დღის სინდრომი უმძიმესია - დეპრესია, ფსიქოლოგიური დისკომფორტი, პანიკა, შიშები და ამიტომაც მიმართავენ სხვა ნარკოტიკს, ფიქრობენ სუიციდზე, თვითდაზიანებაზე - ამის უამრავი მაგალითია, აგრესიულები ხდებიან ოჯახის წევრების მიმართ, კარგავენ სიცოცხლის ინტერესს, ისწრაფვიან მხოლოდ ნარკოტიკისკენ, რათა ისევ ის შეგრძნებები ჰქონდეთ, რაც პირველ დღეს ჰქონდათ.

**ხელმისაწვდომი ნარკოტიკის ფესტივალი?!**

2014 წელს ანაკლიის ტერიტორიაზე¬ პოპულარული უკრაინული ფესტივალი "კაზანტიპი" ჩატარდა, მაშინაც ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ნარკოტიკი და პროსტიტუციის ფაქტი მრავლად იყო. ღონისძიების ქართველი ორგანიზატორების ნაწილმა, რომელსაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი გიორგი სიგუა ხელმძღვანელობდა, გადაწყვიტა, მომავალშიც ჩაეტარებინა ანაკლიის ტერიტორიაზე ელექტრონული მუსიკის ფესტივალი... წელს ფესტივალი ერთ თვეს გასტანს - 14 ივლისიდან 14 აგვისტომდე. ის განმუხურში იმართება და დაკავშირებულია 552-მეტრიანი საფეხმავლო ხიდით ანაკლიასთან. ტერიტორიაზე კარვების ქალაქია, სადაც დამსვენებელს შეუძლია დასახლდეს.

წელსაც იქ უამრავი მსმენელი ჩავიდა...შარშან ამბობდნენ, რომ ფესტივალზე ნარკოტიკი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, ამაზე საუბრობენ დღესაც. ფაქტი სახეზეა... 22 წლის გოგონას გარდაცვალების შემდეგ სამართალდამცავებმა გააქტიურეს მუშაობა და ხუთი პირი ნარკოტიკის შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს, თითოეულისგან დიდი რაოდენობით ექსტაზი და "მდმა" ამოიღეს, დააკავეს ასევე "თეთრი ხმაურის" მოძრაობის" აქტივისტი ბაქარ ყორშია, რომელსაც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

# მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე

***მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, ჩრდილოეთ კორეამ ბოლო პერიოდში რამდენჯერმე გამოსცადა ბალისტიკური რაკეტა. რამდენიმე დღის წინ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ არსებობს საფრთხე, კიმ ჩენ ინიმ წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულ გუამზე განლაგებულ ამერიკის სამხედრო ბაზას დაარტყას. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმის გეგმა საშუალო და დიდი მანძილის რაკეტების გასროლას ითვალისწინებს.***

8 აგვისტოს ნიუ-ჯერსის შტატში გამართულ ბრიფინგზე ტრამპმა განაცხადა: "ჩრდილოეთ კორეისათვის აჯობებს, ნუღარ დაემუქრება შეერთებულ შტატებს, თორემ ისეთ ცეცხლსა და რისხვას მიიღებენ, მსოფლიოში რომ ჯერ არავის უნახავს.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის მუქარა ძალიან მძიმეა, ნორმალური განცხადებების ზღვარს სცდება. და როგორც ვთქვი, მიიღებს ცეცხლს, რისხვასა და - პირდაპირ ვიტყვი - ძალას, როგორც მსოფლიოში ჯერ არავის უნახავს".

აშშ-ს სახელწიფო მდივნის რექს ტილერსონის აზრით კი ჩრდილოეთ კორეის მეთაურს "არ ესმის დიპლომატიური ენა". ბოლო დღეებში ტილერსონი გუამზეც ჩავიდა და განცხადებები იქიდან გააკეთა.

ტელეარხ NBC-ის ცნობით, აშშ-ის თავდაცვის უწყებამ ჩრდილოეთ კორეაში სამხედრო ობიექტებზე B-1B Lancer, ბომბდამშენის გამოყენებით პრევენციული დარტყმების გეგმა უკვე შეიმუშავა. ტელეარხის წყაროების ინფორმაციით,

აღნიშნული ბომბდამშენების გამოყენება გეგმის მთავარი ნაწილია. წყნარ ოკეანეში გუამის კუნძულზე მდებარე ანდერსენის ავიაბაზაზე B-1B Lancer-ის ექვსი ბომბდამშენია განთავსებული.

პენტაგონში მიიჩნევენ, რომ თუ აშშ ნამდვილად შეეცდება ჩრდილოეთ კორეაზე საჰაერო დარტყმები მიიტანოს, ოპერაციის ფარგლებში თანამგზავრებს, უპილოტო საფრენ აპარატებს, გამანადგურებლებს და სადაზვერვო თვითმფრინავებს გამოიყენებს.

ჩრდილოკორეის სააგენტოების ცნობით, გეგმა ფხენიანმაც შეიმუშავა. "გეგმის მოწონების შემთხვევაში, ის ნებისმიერ დროს შეიძლება განხორციელდეს, ამისთვის მხოლოდ ქვეყნის მთავარსარდლის კიმ ჩენ ინის ბრძანებაა საკმარისი".

ექსპერტების აზრით, ეს მუქარები მხოლოდ რიტორიკაა.

ცნობისთვის, აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ომის რიტორიკა უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება. ექსპერტების აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ქვეყნებს შორის ასეთი დაძაბული ვითარება არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ანალიტიკოს ვახტანგ მაისაიას აზრით, ეს მუქარა, შესაძლოა, რეალურ სამხედრო მოქმედებაში გადაიზარდოს, ამის კონტურები უკვე გამოკვეთილია. მაისაიას თქმით, დაპირისპირებამ სერიოზულ მასშტაბს მიაღწია, რთული ვითარებაა. ომის დაწყების რეალური კონტურები გამოჩნდა. ჩრდილოეთ კორეამ პირდაპირ დაასახელა კონკრეტული დარტყმის ობიექტი - ეს არის გუამის კუნძულზე განლაგებული ამერიკული სამხედრო ბაზა. ჩრდილოეთ კორეა არის მცირე და საშუალო რაკეტების მქონე ქვეყანა და მას ყოველთვის შეუძლია მათი გაუმჯობესება. ამიტომ ვითარების ესკალაციის რეალური საფრთხეა. ასევე, არსებობს ვარაუდი, რომ ჩრდილოეთ კორეამ გამოსცადა ბირთვული ქობინები. მაისაიას თქმით, ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა თითქმის ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა, არის ძალიან იმპულსური მმართველი, შეუძლია, ნებისმიერ რამეზე წავიდეს, მისი ქმედება არაპროგნოზირებადია".

ანალიტიკოსის თქმით, ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა გასცა ბრძანება, რომ ამერიკაზე დარტყმა განხორციელდეს არამარტო ხმელეთზე, არამედ საზღვაო კორიდორიდანაც, რაც საკმაოდ საშიშია. რუსეთს აქვს ვალდებულება, რომ ჩრდილოეთ კორეას სამხედრო კონფლიქტის დროს დახმარება აღმოუჩინოს. შესაბამისად, ომი თუ დაიწყო, ამაში რუსეთიც ჩაერთვება. ამერიკის პრეზიდენტ ტრამპის განცხადებებიც საკმაოდ მკაცრია. ამიტომ ამ კუთხით ვითარება სერიოზულ დაპირისპირებამდეა მოსული. თანაც კორეის ლიდერმა გასცა ბრძანება, შემუშავდეს გეგმა ამერიკაზე დარტყმისა, რომელიც განხორციელდება არა მარტო ხმელეთზე, არამედ წყლიდანაც, საზღვაო კორიდორიდან და ეს ყველაზე საშიშია. ანალიტიკოსი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ამირან სალუქვაძე მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კორეასა და ამერიკას შორის რიტორიკა შენარჩუნებული იქნება და ეს რეალურ სამხედრო მოქმედებებში არ გადაიზრდება. სალუქვაძის თქმით, ვითარება საკმაოდ დაძაბულია, წინასაომარი რიტორიკაა, თუმცა, ჩემი შეფასებით, ეს საომარ მოქმედებებში არ უნდა გადაიზარდოს, თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა. გამოუცნობ დიქტატორთან გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც არ ვფიქრობ, რომ ის თვითმკვლელია. არა თუ 4 რაკეტის გაშვება ამერიკის ბაზის მიმართულებით, არამედ 1 რაკეტის გაშვებაც კი გამოიწვევს ამერიკის მყისიერ რეაქციას, რაც ომში გადაიზრდება".

როგორც ცნობილია, რუსეთი და ჩინეთი აქამდე არ უჭერდა მხარს სხვა სახელმწიფოების პოზიციას ჩრდილოეთ კორეის მიმართ, თუმცა ბოლო პერიოდში გახშირებული ბალისტიკური რაკეტების გამოცდების შემდეგ, ისინი შეუერთდნენ მოწოდებას, ჩრდილოეთ კორეამ უნდა შეწყვიტოს ბალისტიკური რაკეტების გამოცდა.

ჩრდილოეთ კორეის ქმედებებს გაერომ სანქციებით უპასუხა. ფხენიანში კი გაეროს გადაწყვეტილება "ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად" შეაფასეს და განაცხადეს, რომ ამის გამო აშშ „პასუხს აგებს".

ჩრდილოეთ კორეის საინფორმაციო სააგენტო KCNA-მ, გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფხენიანი ემზადება გუამის ბაზას Hwasong-12 ტიპის რაკეტით დაარტყას. როგორც ამბობენ, ეს გადაწვეტილება გუამის ბაზაზე წვრთნების დაწყების საპასუხო რეაქცია იყო.

ამ ინფორმაციების გავრცელების შემდეგ, გუამის გუბერნატორმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ კუნძულის მიმართ არანაირი მუქარა არ გაუგია, თუმცა ისინი ნებისმიერ შემთხვევას მომზადებული შეხვდებიან.




## 1950 WLIS AGVISTO

o KLUBIS EZOSI PAMIDORIS BARIA! WINAT IQ SEIRNOBANI TARDEBODA, SADAM KLUBIS SENOBA AR IYO. MAGRAM AXLACAA SAKMARISI ADGILI, ROM DEKORATIULI BARI GAESENEBINAT ARBOSIKELEBS, MAGRAM, RATOMRAC PAMIDORIS MOYVANA ARCIA, ROMELIC KOLMEURNEOBAS ARAVITAR RIREBULEBAS AR UQMNIS. PIRIQIT, SROMADREEBIC IXARJEBA NAKVETIS MOVLISTVIS. KARGI IQNEBA B. POPIASVILMA AM SAQMES SATANADO DASKVNA GAUKETOS DA IZRUNOS SOFLIS KLUBIS EZOS KETILMOWYOBAZE.

o `ABANOS YOVELWLIURAD UKETEBEN REMONTS, MAGRAM DREMDE VER MOAGVARES DGUSEBIS SWORI MUSAOBISA DA TASEBIS SAKMARISI RAODENOBIT SEZENIS SAKITXI. ZALZE MCIRE RAODENOBITAA TASEBI DA KLIENTEBI XSIRAD SAATOBIT ELODEBIAN MEORE MOBANAVES, SANAM IS TAVIS BANVAS DAAMTAVREBDES, ROM TASI DAIMSAXURON DA ABANODAN GAUBANAVI AR GAMOVIDNEN. AMASWINAT ABANOS BEVRI XALXI MIAWYDA. AMAS ISIC DAERTO, ROM PIONERBANAKIDAN SABANAOT MOIYVANES BAVSVEBI DA MTELI CVENI DASVENEBIS DRE MXOLOD ABANOSI GAVATARET, IMIS GAMO, ROM SAKMARISI TASEBI AR ARIS~. KOMUNALURI GANYOFILEBIS GAMGE D. OBOLAZE REDAQCIAS ATYOBINEBS, ROM MARTLAC AKLIAT TASEBI DA XISAS AMZADEBEN, ROMELIC MALE SAKMARISI IQNEBA. SAKVAMURIDAN ARAR GADMOVA MWVARTLI DA UFRO SISUFTAVE IQNEBA.

o KARGAXANIA `SAQNAVTIS~ KLUBSI SINATLIS XAZI GADASWRES DA KINOFILMEBIS CVENEBA ARAR MIMDINAREOBS. DABIS CENTRSI MCXOVREBI MUSEBI MOKLEBULNI ARIAN KULTURUL DASVENEBAS. XOLO AXALGAZRDEBIS ERTADERT GASARTOB SAGNAD GADAIQCA SENOBASI MOTAVSEBULI SAMKITXVELOS DOMINO. KLUBIS BARIC MSVENIVRAD IYO MOVLILI MAGRAM AXLA NARGAVEBI XMEBA DA TANDATANOBIT VARDEBA. YURADREBAS KI ARAVIN AQCEVS.

o WITELWYAROS PROKURATURAM SEAMOWMA RAIKOOPERATIVIS FURNE DA ARMOCNDA, ROM MARTLA GAMEFEBULI IYO ANTISANITARIA. FQVILS SCRIDNEN ZALZE CUD SACERSI, ROMELIC GAMOCVLIL IQNA, KARGI, WMINDA SACERIT. CATARDA SACDELI CXOBA. SAXSANINSPEQCIAM FURNE DAAJARIMA, GAMGE KI SEUFEREBELI MUSAOBISTVIS GATAVISUFLDA. PURIS XARISXI GAUMJOBESEBULIA.

o SOFEL ZEMO QEDSI, QSNELEBIS UBANSI GAIXSNA AXALI QOX-SAMKITXVELO, ROMELMAC UKVE SEIZINA SAKMARISI LITERATURA DA JURNAL-GAZETEBI.

o RAIONIS KINOTEATRMA GAAUMJOBESA MUSAOBA DA MOSAVLIS AREBAZE SISTEMATIURAD ACVENEBDA KINOFILMEBS MINDVRAD MOMUSAVE KOLMEURNEEBISTVIS. NACVENEBI IQNA FILMI `BERLINIS DACEMA~, ROMELIC NAXA 10 000-ZE METMA KOLMEURNEM. KINOTEATRIS DIREQTORI I. INASVILI WERS, ROM FILMEBIS DEMONSTRIREBA KVLAV GAGRZELDEBA.

o ODESRAC NACIONALURI SURLIT SEVIWROVEBUL SOMEXTA SOFEL WITELI SABATLOS RVAWLIAN SKOLASI 178 BAVSVI SWAVLOBS. WERA-KITXVIS UCODINARI GLEXEBIS NACVLAD SOFELMA SAKUTARI INTELIGENCIA GAMOZARDA. 10 MASWAVLEBLIDAN 6 ADGILOBRIVIA. 15-MA KACMA WELS DAAMTAVRA SKOLA, 2 UMARLESI GANATLEBIT DAUBRUNDA SOFELS. 3 ISEV SWAVLOBS UMARLESSI.

## 1952 WLIS AGVISTO

o XANZARSAWINAARMDEGO RONISZIEBEBISTVIS SEIZINES DA MZADYOFNASI AQVT INVENTARI, WYLIS AUZEBI DA KASREBI. QIMIURI CECXLMAQREBI, WYLIS TUMBOEBI, BAREBI DA SXVA. MAGRAM, YVELA PIRNATLAD RODI ASRULEBS AM SAQMES? MIUXEDAVAD MRAVALI GAFRTXILEBISA, ELDARIS SABWOTA MEURNEOBIS, JAFARIZIS DA QVEMO QEDIS RVAWLIANI SKOLEBIS DIREQCIEBI, QVEMO QEDIS, ZEMO QEDISA DA ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBEBIS GAMGEOBEBI ARAVITAR ZOMEBS AR IREBEN DA GULGRIL DAMOKIDEBULEBAS ICENEN SAXANZRO INVENTARIS SEZENISA DA MOWYOBIS SAQMESI.

o RAIONIS JANMRTELOBIS GANYOFILEBIS SABAVSVO BAGA MYUDRO ADGILZEA MOTAVSEBULI. KARGI EQO AQVS, MAGRAM GARE KEDLEBI CAMONGREULIA.FANJREBS MINEBI AKLIA, PRODUQTEBI NESTIAN OTAXSIA MOTAVSEBULI DA IQ SMORIS SUNI DGAS. SAMZAREULOS IATAKIC MOSAKIRWYLIA.

## 1958 WLIS AGVISTO

o `BAREBI USKAMEBOD - RAIONIS CENTRSI ARSEBULI BAREBI MSROMELTA DASVENEBISTVIS FARTOD UNDA IYOS -GAMOYENEBULI, MAGRAM IMIS GAMO, ROM ARCERT BARSI SKAMEBI AR DGAS DASVENEBA SEUZLEBELIA. MOVITXOVT, ROM KVLAV DAIDGAS SKAMEBI~ - NATQVAMIA, DABA WITELWYAROS MACXOVREBELTA WERILSI.

o DIDI MNISVNELOBA AQVS LIANDAGEBIS DACVAS MOXETIALE PIRUTYVISGAN. YVELA MEPATRONE VALDEBULIA AR GAUSVAS PIRUTYVI RKINIGZIS ZOLSI UMETVALYUREOD. MEPATRONEEBS MTKICED MOETXOVEBAT MATAREBLEBIS NORMALURI MIMOSVLIS XELSEWYOBA. GADASASVLELIBZE PIRUTYVIS GADAREKVISAS SAWIROA ORI MENAXIRE MAINC. MAGRAM AKRZALULIA PIRUTYVIS GADAREKVA BURUSSI, QARIANI AMINDSA DA NIARVREBIS DROS.

o ELDRIS SABWOTA MEURNEOBIS DASAXLEBULI PUNQTI SUL UFRO KETILMOWYOBILI XDEBA. SENDEBA ADMINISTRACIULI DA SACXOVREBELI BINEBI, AQVT SKOLA, MAGRAM MOSAXLEOBA DIDSIZNELES GANICDIS UAFTIAQOBIS GAMO. AMIS SESAXEB RAMDENJERME IQNA SAKITXI DASMULI MAGRAM SEDEGI AR CANS.

o WITELWYAROS RAIKOOPKAVSIRMA UKANASKNEL WLEBSI GAAFARTOVA SAZOGADOEBRIVI KVEBIS QSELI. SASADILOEBSA DA SASAUZMEEBSI NAWILOBRIV GAUMJOBESDA KERZEBIS XARISXI DA MOMSAXUREBA. MAGRAM MTEL RIG OBIEQTEBSI UPASUXISMGEBLOD EKIDEBIAN MSROMELTA KANONIER MOTXOVNEBS. OBIEQTEBSI YOVELDRE UNDA IWEREBODES MENIU, RATA KLIENTMA GAIGOS RA SAWMELEBIA DA RA RIRS. MAGALITAD: MENIUS AR ADGENEN ARBOSIKIS, ZEMO MACXAANIS, ZEMO QEDIS, KIRIS QARXNISA DA SXVA SASADILOEBSI. AR ARIS DAGULI SANHIGIENURI PIROBEBI. MOMSAXURE PERSONALI AR ICVAMS WINSAFREBS. ARBOSIKIS KOOPERATIVIS GAMGEOBIS TAVMJDOMARE XOSROSVILI REDAQCIAS ATYOBINEBS, ROM MEBUFETE NARINDOSVILS GAMOECXADA SAYVEDURI, XOLO MZAREULI BEROSVILI GANTAVISUFLDA.

o CXOVREBIS IOLI GZA AIRCIES SOF WITELWYAROSI MCXOVREBLEBMA MIKIRTIC BEZOIANMA DA SARQIS AXCRECIANMA, ROMLEBIC EWEODNEN SPEKULACIAS - RAIONSI IAFAD YIDULOBDNEN MZESUMZIRAS DA RESPUBLIKIS GARET SPEKULACIUR FASSI HYIDDNEN. DAMNASAVEEBI RAIMILICIIS MUSAKEBMA DAAKAVES. WITELWYAROS SAXALXO SASAMARTLOM GAARCIA SPEKULIANTEBIS SAQME DA MOQALAQE AXCRECIANS MIUSAJA 5 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA, QONEBIS KOMFISKACIA DA SASJELIS MOXDIS SEMDEG 2 WLIT SAARCEVNO UFLEBIS SECEREBA. XOLO BEZOIANS 2 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA, QONEBIS KONFISKACIA DA 2 WLIT SAARCEVNO XMIS UFLEBIS CAMORTMEVA.

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ღრმად დამწუხრებულ დედას გულში ცეცხლი მიკიდია. არ ვიცი, რითი გავინელო ორი შვილის - ნუგზარის და ნანული მაჩაბლიშვილების გარდაცვალება. მაგრამ, რადგან მას არ ეღირსა კლასელებთან ერთად გამოეხატა მწუხარება, მინდა, ჩემი შვილის, ნანულის მაგივრად თანაგრძნობა გამოვუცხადო მის კლასელებს:

ნანა ლაპიაშვილს ძმის – თამაზის გარდაცვალების, მაია მაისურაძეს დის იათამზე (ია) მაისურაძის და ნინო ბაბალაშვილს დისშვილის შალვა ბიკაშვილის გარდაცვალების გამო. ღმერთს ვევედრები, ნათელში ამყოფოს მათი ახალგაზრდა სულები და მათ გულებზე დაყრილი მიწა მსუბუქი ყოფილიყოს.

ციცინო მაჩაბლიშვილი

გამოსათხოვარი

# ზურაბ ქავთარაძე



კიდევ ერთი კარგი ადამიანი დააკლდა დედოფლისწყაროს. ზურაბ ქავთარაძე - გამორჩეული კეთილი ღიმილითა და იუმორის გრძნობით.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი ცხოვრება შინაგან საქმეთა სამსახურს შეალია, მის შესახებ ცუდს მის მიერ დაპატიმრებული ადამიანებიც კი არ ლაპარაკობდნენ. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ერთ-ერთს მისთვის მადლობაც კი გადაუხდია იმისთვის, რომ თავის დროზე დაპატიმრებით კრიმინალურ სამყაროს ჩამოაშორა და სწორი ცხოვრებისკენ შემოაბრუნა...

მას უყვარდა ადამიანები, ეცოდებოდა გაჭირვებულები და ხშირად უსასყიდლოდ ურიგებდა მათ საკვებს კუთვნილი მაღაზიიდან. ის ცხოვრებას მხოლოდ მატერიალური საზომით არ უყურებდა, ამიტომაც სტკიოდა გული ყველაზე და ყველაფერზე...

სრულიად ახალგაზრდას გულმა უმტყუვნა, მასთან გამომშვიდობებაც კი ვერ მოასწრეს, ისე უცებ დატოვა ამქვეყნიური სამყარო... დატოვა დამწუხრებული ოჯახის წევრები, შვილები და შვილიშვილები. მისი სიცოცხლე მათში გაგრძელდება და ყოველთვის იამაყებენ, რომ ღირსეული ადამიანის შთამომავლები არიან.

ოჯახი და ახლობლები

მონატრება

# ზინა იაკობიშვილი–ჯანაშვილი



უკვე 2 წელი გავიდა, რაც შენ ამქვეყნად აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო და ალერსიანო დედა.

დრო მკურნალი არ ყოფილა, ახლა ვხვდებით, რამხელა იმედი და ნუგეში ყოფილხარ ჩვენთვის.

დღეს შენი შვილიშვილები და შვილთაშვილები დააბიჯებენ შენს ეზო კარ-მიდამოში. იქ, სადაც შენ ფუსფუსებდი და მუხლჩაუხრელად შრომობდი. შენი მეუღლის ფირუზ ჯანაშვილის ოჯახის ბურჯად და ერთგულ მოამაგედ ითვლებოდი. მისი სახელი და ავტორიტეტი ჩვენი სოფლისა თუ რაიონის გარეთაც ქუხდა, როგორც გამოცდილი მეცხვარისა და სწორუპოვარი თავჩობანისა. მამა ხომ წლობით ცხვართან ერთად მომთაბარობდა. შვილების – ქალ-ვაჟის აღზრდა კი შენ გევალებოდა, რასაც ღირსეულად გაართვი თავი ჩვენთვის სამაგალითო და თავდადებულო ადამიანო.

„ისე უნდა იცხოვროთ და ისეთები უნდა იყოთ, რომ დიდი წინაპრების სახელები არ შეარცხვინოთ, გახსოვდეთ, სახელოვან წინაპრებს ღირსეული ცვლა სჭირდებაო“ – მკაცრად გვეტყოდი ხოლმე. ჩვენც ხომ ასეთი შთაგონებით ვზრდით შვილებსა და შვილიშვილებს.

ამიტომაც არ აკლია შენს ძვირფას საფლავს წმინდა სანთელი და მომკითხველი.

იძინე მშვიდად, საყვარელო დედა!

შენი შვილები ნელი და ვაჟა ჯანაშვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

მონატრება

# ივანე გონაშვილი



მოგონებებით განვლილი ორმოცი ტკივილიანი დღე უშენოდ გაილია...

როგორ გვიმძიმს შენზე წარსულში საუბარი. შენი წასვლით თითქოს საძირკველი გამოეცალა ჩვენს ოჯახს, ვერ ვეგუებით უშენობას...

ყოველთვის მშვიდი, წყნარი, თავმდაბალი, სიკეთით სავსე, წრფელი და პატიოსანი ადამიანი იყავ, ალალად იცხოვრე, პროფესიით მშენებელმა აკეთე, შექმენი, ააშენე და დაუტოვე ოჯახსა თუ ქვეყანას არაერთი შენობა-ნაგებობა, რომელიც მომავალშიც სასიკეთოდ ემსახურება შთამომავლობას...

სიმბოლურია შენი გარდაცვალების თარიღიც - 09.07.2017 წელს 77 წლის ასაკში დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ დაგვტოვე და შეუერთდი მარადიულ საუფლოს. 17 აგვისტოს კვლავ მოვალთ შენს საფლავთან, კიდევ ერთხელ გაგიხსენებთ ჩვენო ტკბილო მეუღლევ, მამავ, პაპავ.

ერთნაირად განვიცდით შენს დაკარგვას შენი ოჯახის ყველა წევრი, მეუღლე -ნიაზი პაპუაშვილი, შვილები - გიორგი, მარიამი, რძალი - სოფიო მშვენიერაძე, შვილიშვილები - ანდრია და ნინო გონაშვილები.

ნათელში დაამკვიდროს უფალმა შენი სული!

შენი ოჯახი

ნოდარ და მანანა შანშიაშვილები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნაირა ელიოზაშვილს და ზაქრო ბატიაშვილს დედის

დესპინე ელიოზაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლიას ძმის

ზურაბ ქავთარაძის

გარდაცვალების გამო

ნოდარ შანშიაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ბადურ ბაბალაშვილის, გია ბიკაშვილის და ხვიჩა ქავთარაძის ოჯახებს

შალვა ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს შპს „ბეტონის ქარხნის“ თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის

შალვა ბიკაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

მეზობლები: მანანა ტოკლიკიშვილი, ზალიკო ბიკაშვილი, დათო შიროიანი, სეილან ჯალიაშვილი, ინდიკო გოგოჩიშვილი, სპირიდონ მაძღარაშვილი, ანდრო დანელიანი, თამაზ ალუღიშვილი, კობა გორაშვილი, მიშა გონაშვილი, ნუგზარ მახარაშვილი იუწყებიან

შალვა ბიკაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს ლექსო გრემელაშვილს დედის

ნ ა თ ე ლ ა ს

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს ცარო მარტიაშვილს დეიდის

ი ტ ო ს

გარდაცვალების გამო.

# მიწას ცეცხლი უკიდია...



დედოფლისწყაროში მიწას კვამლი ჯერ კიდევ ასდის... ეს მაღალი ტემპერატურის ბრალი სულაც არ გახლავთ, ეს მიწების გადაწვის შედეგია. მოსახლეობა წუხს, რომ გადაწვის შედეგად გაჩენილი ნამწვი მათ საცხოვრებელ სახლებში ანტისანიტარიას ქმნის, ეს, ძირითადად, დიასახლისების პრობლემაა... თუმცა, ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო პრობლემის მიღმა ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი იმალება. საქმე იმაში გახლავთ, რომ მიწების გადაწვას ხშირად მომიჯნავე ნაკვეთზე ჯერ კიდევ ასაღები მოსავალი და ქარსაფარი ზოლები ეწირება... აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ გადაწვა მავნებელია ნიადაგისთვისაც. ამ დროს მიწის ჰუმუსოვანი ფენა იფიტება და ნიადაგის ნაყოფიერებაც მცირდება.

მიწის რესურსებისა და ნიადაგების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ქვეყანაში მიმდინარეობს მიწისა და ნიადაგის დეგრადაციის პროცესები. მიწის დეგრადაციის პრობლემა ყველაზე მეტად დგას კახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში. ბუნებრივი პროცესებიდან, რომლებიც გავლენას ახდენს მიწის რესურსების მდგომარეობაზე, მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილება, ხოლო ანთროპოგენური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, ტყის უკონტროლო გაჩეხვა, გადაჭარბებული ძოვება, ხელოვნური ხანძრები, სამელიორაციო სისტემების მოშლა და სხვა.

საინფორმაციო კამპანიამ, რომელიც გერმანულმა თანამშრომლობამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად აწარმოა, შედეგი გამოიღო, მაგრამ არსებობენ ფერმერები, რომლებიც მიწის გადაწვის არამართვად, ქაოსურ მეთოდს კვლავ მიმართავენ და ამით საფრთხეს უქმნიან სხვის ნაკვეთსა და ქარსაფარ ზოლს, რომელმაც მომავალში მოსავალი ძლიერი ქარისგან უნდა დაიცვას.

ეს ფოტოც, რომელიც უპილოტო საფრენი აპარატითაა გადაღებული, სწორედ ასეთ ფაქტზე მეტყველებს. უმართავი გადაწვის შედეგად ცეცხლი ქარსაფარ ზოლს მოეკიდა და ის სრულ განადგურებას მხოლოდ გამგეობის ზედამხედველობისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურების ოპერატიული მოქმედების შედეგად გადაურჩა.

„ძალიან სასიხარულოა, რომ 2016 წელს ქარსაფარების გადაწვამ დაიკლო, 2017 წელს კი შედეგი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია-ფერმერების უმეტესი ნაწილი მიმართავს მართვად გადაწვას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხანძრებს. ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ფერმერს“- ამბობს ჩვენთან საუბრისას გერმანული თანამშრომლობის საველე კოორდინატორი დედოფლისწყაროსა და კახეთში ამირან კოდიაშვილი.

კარგი იქნება, თუ მომავალში ფერმერები მეტად იზრუნებენ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაზე და გადაწვის მავნე პრაქტიკაზე საბოლოოდ იტყვიან უარს, მანამდე კი, სანამ ახლებურ მეთოდებზე გადასვლას ეკონომიკური ფაქტორი აფერხებს, იქნებ ყველამ მიწის მართვად გადაწვაზე ანუ გადაწვამდე ნაკვეთის შემოხვნაზე, მაინც იზრუნოს.

ეს ფერმერ გია ზურაშვილის ნაკვეთია, რომელმაც მართვადი გადაწვის წყალობით ქარსაფარი ზოლი გადაარჩინა.



## ანტარქტიდაზე საუკუნის ნამცხვარი იპოვეს

ანტარქტიკაზე 106 წლის ნამცხვარი აღმოაჩინეს. ხილის კექსი ბრიტანული საკონდიტრო კომპანიის ჰანტლი ენდ პალმერსის მიერ საუკუნის წინ არის გამოშვებული. ის ქაღალდში იყო შეფუთული და თუნუქის ყუთში იდო. ყუთი საგრძნობლად იყო დაზიანებული, ნამცხვარი კი საჭმელად ვარგისი აღმოჩნდა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, კექსი ანტარქტიდაზე „ტერა ნოვას“ ექსპედიციის წევრებმა დატოვეს.



## საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ჩეხეთი დაამარცხა

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, დღეს, თბილისის მერიის თასზე პირველი შეხვედრა ჩეხეთის ნაკრებთან გამართა და ანგარიშით 87:76 გაიმარჯვა.

თბილისის სპორტის სასახლეში შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და საწყისი ათწუთეული ფრედ 20:20 დასრულდა, მეორე მეოთხედში კი ქართველი კალათბურთელების მცირე უპირატესობა გამოიკვეთა და ტაიმი მასპინძლებმა 7-ქულიანი უპირატესობით, 45:38 მოიგეს.

მასპინძლებმა ტემპი არც შესვენების შემდეგ დააგდეს და საბოლოოდ 11-ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვეს.

ამ მატჩში ყველაზე მეტი - 22 ქულა თორნიკე შენგელიამ მიითვალა, რომლის ანგარიშზე 7 მოხსნა და 4 პასია. ორმაგი დუბლი გაიფორმა ზაზა ფაჩულიამ (14 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი). 14-14 ქულა ჩააგდეს გიორგი შერმადინმა და გიორგი ცინცაძემაც.

საქართველოს და ჩეხეთის ნაკრებები კიდევ ერთხელ 13 აგვისტოს, კვლავაც სპორტის სასახლეში ითამაშებენ და თბილისის თასის გამარჯვებულის ვინაობაც ორი მატჩის ჯამში გამოვლინდება. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ილიას ზურროსის გუნდის გეგმაში ასევე "აკროპოლისის თასზე" გამოსვლაა, სადაც მეტოქეებად მასპინძელი საბერძნეთის, ასევე იტალიისა და სერბეთის ნაკრებები ეყოლება.


## ი ყ ი დ ე ბ ა !



იყიდება 67კვ.მ კომერციული ფართი ძველი რემონტით ქალაქ დედოფლისწყაროში, უზრუნველყოფილი ელექტრო ენერგიით, წყლით, ბუნებრივი აირით, კანალიზაციით. ფასი შეთანხმებით.
მსურველები დაგვიკავშირდით
☎599 55-90-20



იყიდება კერძო, კაპიტალური სახლი დედოფლისწყაროში, სახლის ფართი 300კვ.მ, გარემონტებული, 4საძინებლით, 2 სველი წერტილით, სახლი უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით, წყლით, აქვს სათავსო, სარდაფი, ავტოფარეხი, 600 კვ.მ. ეზო. ფასი 100 000 $.

☎ 599 55-90-20

იყიდება სამოსახლო მიწის ნაკვეთი ქალაქ დედოფლისწყაროში, მასზე განთავსებული სათავსოებით. მისამართი: 9აპრილის ქ. N81.
ფასი შეთანხმებით. მსურველები დაუკავშირდით

☎ 577 74 26 72, იკითხეთ ნელი.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 14.08 | | სამშაბათი 15.08 | | ოთხშაბათი 16.08 | | ხუთშაბათი 17.08 | | პარასკევი 18.08 | | შაბათი 19.08 | | კვირა 20.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 27 ° | 26 ° | 28 ° | 27 ° | 28 ° | 27 ° | 28 ° | 27 ° | 27 ° | 26 ° | 27 ° | 26 ° | 28 ° | 27 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.